

## ქედის მუნიციპალიტეტი

ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს ადმინისტრაციულ  
ერთეულის სოფლებში მეწყერსაწინააღმდეგო გასატარებელი  
ღონისძიებების სამუშაოების შესყიდვის  
ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

2016 წელი

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.2 ტექნიკური პირობები

#### 2.1 შესყიდვის ობიექტია:

2.1.1 სოფელ ხარაულაში ოთარ ბერიძის სახლთან ქვედა საყრდენი კედლის მოწყობა, **სავარაუდო ღირებულება 5175 ლარი;**

2.1.2 სოფელ ხარაულაში მურად ხარაძის სახლთან ასასვლელ გზაზე ზედა საყრდენი კედლის მოწყობა, **სავარაუდო ღირებულება 5220 ლარი;**

2.1.3 სოფელ ტაკიმეებში ხორხის უბნის მიმართულებით ზედა საყრდენი კედლის მოწყობა, **სავარაუდო ღირებულება 17423 ლარი;**

2.1.4 სოფელ ხარაულაში ბარების უბანში ამირან მახარაძის სახლის მიმდებარედ ზედა საყრდენი კედლის მოწყობა, **სავარაუდო ღირებულება 10825 ლარი;**

2.2.1 სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერტიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველს უფლება აქვს, დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი;

2.2.2 სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

2.2.3 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

2.2.4 სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;

დ) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურთან;

ე) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

2.2.5 სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას პრეტენდენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვაში გაანგარიშებული უნდა იყოს „გაუთვალისწინებული ხარჯები“ 3%-ის ოდენობით. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის

სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.2.6 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან სხვა აკრედიტებული პირთან. აღნიშნული დასაბუთების და/ან ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

**2.3 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:**

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ბოლო ორი წლის განმავლობაში 2014 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (სამშენებლო სამუშაოები) სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით;
  - პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, შესრულებული სამუშაოს ფორმა #2 ან/და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდის სერტიფიკატი, ანგარიშფაქტურა)). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქედის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.
- ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

#	სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება	წელი

**3. პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტების ატვირთვა**

- 3.1 რეკვიზიტები დანართი #1-ის მიხედვით;
- 3.2 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები დანართების შესაბამისად; მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;
- 3.3 შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- 3.4 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის თანახმად;

**4 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:**

**4.1 ანგარიშსწორების პირობა:**

4.1.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა –ლარი.

4.1.2 ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით ან/და ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად რომელიც უნდა შეადგენდეს მთლიანი ხელშეკრულებით ღირებულების არანაკლებ 20%-ს.

4.1.3 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარმოადგინოს:

ა) წინასწარი ანგარიშსწორებისას - საბანკო გარანტია არაუმეტეს 30%-ისა, წინასწარი გადახდა შესაძლებელია მხოლოდ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის წინასწარი გადახდის უპირობო საბანკო გარანტის შემთხვევაში. საბანკო გარანტის ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

ბ) ეტაპობრივი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2, და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

გ) საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.1.4 ავანსის გაცემის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაოების (რომელიც დადასტურებული იქნება შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით, ფორმა #2-ით, და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციითა ღირებულების 40% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დანარჩენი 60% - ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ. აღნიშნული გრაფიკით ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის ამოწურვამდე, ხოლო ამის შემდეგ შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურდება სრულად.

4.1.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საგადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## **4.2 სამუშაოს წარმოების ვადები და პირობები**

4.2.1 სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე.

4.2.2 სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ ზედამხედველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში შესული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის ცვლილებას.

**4.3 გაწეულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა - 5 წელი** საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

## **4.4. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

4.4.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.4.2 ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.

4.4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს

ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

#### 4.5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

4.5.1. შესყიდვი ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება შესრულებული სამუშაოების ფორმა #2-ის წარმოდგენის შემდეგ.

4.5.2. სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაჟის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

#### 5. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

5.1 ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

#### 6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებები მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, ან ტელეფონით. მისამართი: დ.ქედა, მ. კოსტავას ქუჩა №3, საკონტაქტო პირი: გივი დევაძე ტ-59981300

დანართი №1

რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

პრეტენდენტის

ხელმოწერა

\_\_\_\_\_

